სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №6

ხარაგაული

17იანვარი 2017 წელი.

ერთი მხრივ ხარაგაულის, ა.(ა)ი.პ. **„ხარაგაულ კეთილმოწყობა"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორ **დავით ლაცაბიძის** სახით და მეორე მხრივ, ინდ. მეწარმე **„გიორგი ცხადაძე"** (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი **გიორგი ცხადაძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის გათვალისწინებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „შემსრულებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ამწეებისა და მათიოპერატორების დაქირავება (CPV 45510000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 250 **(ორასორმოცდაათი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 შემსრულებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადებზე მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5 მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6 მომსახურების ადგილი და ვადა

6.1 მომსახურება მოხდება შემდეგ მისამართზე: დაბა ხარაგაულში საშობაო ნაძვის ხის დემონტაჟი და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია.
6.2. მომსახურების პერიოდი მოიცავს 1 სამუშაო დღეს ,17 იანვარს .

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
ბ) სამუშაოს შესრულების დასრულებამდე გამოითხოვოს შემსრულებელისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3 შემსრულებეს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4 შემსრულებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.
8.2 ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს.
8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხეშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების

შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)ი.პ.„ხარაგაულკეთილმოწყობა" დირექტორი: დავით ლაცაბიძე	ინდ. მეწარმე: „გიორგი ცხადაძე"
_____	_____
საქართველოს ხაზინა ს/კოდი: 443567123	ს.ს. „საქართველოს ბანკი" კოდი: BAGAGE22 ა/ა№GE44BG0000000458277100 ს/კოდი: 18001014323
მის.დაბა ხარაგაული,სოლომონ მეფის ქ №46 ტელ: 591 81 20 09	მის. ზესტაფონი